MDF
მედიის განვითარების ფონდი

მის: თბილისი, ქობულეთის ქ. # 34/36
სადარბაზო 1, ბინა 5
ტელ: 790/ 99 66 07
www.mdfgeorgia.ge
e-mail: mdfgeo@gmail.com

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

ააიპ მედიის განვითარების ფონდის
აღმასრულებელი დირექტორის თამარ ხორბალაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2016 წლის 7 აპრილს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას საჩივრით მიმართეს შემდეგმა არასამთავრობორ ორგანიზაციებმა: მედიის განვითარების ფონდი, საფარი, იდენტობა, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი. საჩივრის ავტორები მიიჩნევდნენ, რომ შპს „პალიტრა TV"-ს თვითრეგულირების ორგანომ მათი 9 მარტის საჩივარი „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის დარღვევით განიხილა.

აღნიშნული საჩივარი კომისიამ მიმდინარე წლის 18 აპრილს[1] განსახილველად არ მიიღო, რაც შემდეგი გარემოებით ახსნა: „თვითრეგულირების საპელაციო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, კომისიის მიერ მაუწყებლის ქცევის კანონიერებასთან დაკავშირებით საკითხის განხილვა, საფრთხეს უქმნის მაუწყებლის დამოუკიდებლობასა და მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ეფექტიანობას."

შპს „პალიტრა TV"-ის თვითრეგულირების მექანიზმის სააპელაციო კომისიამ სადავო საკითხი 2016 წლის 27 აპრილს განიხილა, თუმცა მხარეებისთვის გადაწყვეტილება, ან გადაწყვეტილების ვადის გაზრდის თაობაზე ინფორმაცია ამ დრომდე არ უცნობებია.

„მაუწყებელთა ქცევის კოდესის" მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, „სააპელაციო ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება 30 დღის ვადაში. თუ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია 30 დღეზე მეტი ვადა, სააპელაციო ორგანო ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს".

[1] http://www.gncc.ge/ge/legal-acts/commission/solutions/2016-244-12.page

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, გთხოვთ შეისწავლოთ შპს „პალიტრა TV“-ს მიერ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ პროცედურული ნაწილის დარღვევის საკითხი როგორც აპელაციის ეტაპზე, ასევე თვითრეგულირების ორგანოს მიერ საჩივრის საწყის ეტაპზე განხილვასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,
თამარ ხორბალაძე
მედიის განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი
22/07/2016